]

# საქართველო
# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2817
03/08/2016

2817-01-4-201608030904

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების
მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებულ მიწის ნაკვეთებზე
საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის
დამტკიცების შესახებ

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღირების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

1.შეიქმნას ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღირების მუდმივმოქმედი კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

ქავთარაძე კონსტანტინე -- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

კლდიაშვილი პანტელეიმონი -- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,

გოგრიჭიანი ჯემალი -- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

გიორგაძე ირაკლი -- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

ჭეიშვილი ზაქარი -- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

დიდბარიძე ზურაბი -- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ფხაკაძე მანანა -- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.˜

2.ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ.№11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4.ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი